ამალია მხითარიანი,

ალკალას უნივერსიტეტი, ესპანეთი

12-16 მაისს, კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ამალია მხითარიანმა, მონაწილეობა მიიღო Erasmus+ ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში ესპანეთის ქალაქ ალკალაში, ალკალას უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო პერსონალის კვირეულში.

ვიზიტის ფარგლებში, მონაწილეს ჰქონდა შესაძლებლობა ჩართულიყო როგორც პროფესიულ, ასევე კულტურულ აქტივობებში, რომლებიც მიზნად ისახავდა საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას და პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გამოცდილების გაზიარებას. ვიზიტის პირველ დღეს პროგრამის მონაწილეებმა წარადგინეს პრეზენტაციები და გაუზიარეს გამოცდილება, ასევე დაათვალიერეს ალკალას უნივერსიტეტის ყველა კამპუსი, გაესაუბრნენ ადმინისტრაციულ პერსონალს და მიიღეს მათთვის საჭირო ინფორმაცია.

ალკალას უნივერსიტეტში ვიზიტმა მნიშვნელოვნად გააღრმავა კავშირები უნივერსიტეტებს შორის და შექმნა მტკიცე საფუძველი სამომავლო თანამშრომლობისთვის.

ამ ტიპის მობილობა სრულიად ემახურება Erasmus+ პროგრამის მიზნებს - ხელი შეუწყოს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, კულტურულ გაცვლას და პროფესიულ განვითარებას უმაღლესი განათლების სფეროში.